ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

კახა ღლონტი

ქართული ენა-ლაზარე, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადი)

წარმოდგენილ სუბიექტურ მოსაზრებებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობები უდევს საფუძვლად

1. ქართულ მეცნიერებაში მიაჩნიათ, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული წყარო ფინიკიური ან ბერძნული დამწერლობა უნდა იყოს. ამ ორივე დამწერლობამ თავისი კვალი დააჩინა ქართულ ანბანს. მაგრამ, როგორც თ. ბაგრატიონი აღნიშნავს, ქართული ასომთავრული ანბანის (ხუცური) გრაფიკულ წყაროს ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი (ქალდეური) დამწერლობა წარმოადგენს.
2. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელლდება, რიგითი და ანბანური სათვალავი შეიქმნა „ან“ შუმერული ცის ღმერთისა და „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის კომბინირებით.
3. ქართული ასომთავრული ანბანის პირველი გრაფემა შეიქმნა „ან“ შუმერული ცის ღმერთის ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი ნიშნისა და „სინ“ შუმერულ-ბაბილონური მთვარის ღმერთის იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნის კომბინირებით.
4. ქართული ასომთავრული ანბანის ყოველი გრაფემა შეიქმნა „ან“ ასო-ნიშნის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზისა და დიდი რკალის კომბინირებით.
5. ქართული ასომთავრული ანბანის ყოველი გრაფემა შეიქმნა ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი ნიშნებისა და იდეოგრაფიული, ხატოვანი ნიშნების კომბინირებით.
6. ქართულ ასომთავრულ ანბანს გააჩნია ორი გრაფიკული წყარო: ლურსმული ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა (თ. ბაგრატიონი) და ქართული ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშნის დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი.
7. მკვლევარ ე. მაჭავარიანის მოსაზრებით, ქართული ასომთავრული ანბანი ერთიანი გრაფიკული სისტემაა, რომლის ყოველი გრაფემა წრისა (რკალი) და ასწვრივი ხაზისაგან შედგება.

8. ქართულ ასომთავრულ ანბანში დასტურდება მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლი (რ. პატარიძე) და მზის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი, რისი ნამრავლიც გვაძლევს მზის და მთვარის 532 (ხუთასოცდათორმეტი) წლიან ციკლს.
9. ქართული ასომთავრული ანბანი (ქართული ენა) 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიან ციკლზე აგებული „ქართული ხუთასიანი ქორონიკონია“ (ვ. ბაგრატიონი, ზ. ქაფიანიძე).
10. ქართულ ასომთავრულ ანბანში არ დასტურდება მეტონის 19 (ცხრამეტი) წლიანი ტოლობისა და მზის უძრავი წელიწადის 128 (ასოცდარვა) წლიანი ციკლები (რ. პატარიძე).
11. ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებით, წარმართულ ეპოქაში (ფარნავაზ მეფის დროს) ქართველებს გააჩნდათ „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ და ძვ. წელთაღრიცხვის 284 (ორასოთხმოცდაოთხი) წელს დასრულდა ქართული „ქორონიკონის“ მეათე და დაიწყო მეთერთმეტე მოქცევა.
12. თეომურაზ ბაგრატიონის მოსაზრებით, ქართული ასომთავრული (ხუცური) დამწერლობა ფარნავაზ მეფემდე გაცილებით ადრე არსებობდა და იგი ფინიკიური და ქალდეური დამწერლობების საფუძველზე იყო შექმნილი (გ. შარაძე).
13. ხოლო, აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა მცირე აზიაში, არა უმეტეს ძვ. წელთაღრიცხვის მერვე-მეშვიდე საუკუნეებისა.
14. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი და ანბანური სათვალავი შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ივ. ჯავახიშვილი, თ. ბაგრატიონი).
15. აკად. ა. შანიძის მოსაზრებით, ქართულ ენას გააჩნდა ლოკალური ბრუნვები და ცამეტი მწკრივი, რომლებიც ქართული ენის სხვადასხვა კილოებში დღესაცაა შემორჩენილი.
16. ქართული სახელების ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ა. შანიძე, თ. ბაგრატიონი).

17. ქართული ზმნის მწკრივები და მწკრივის ნიშნები შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ა. შანიძე, თ. ბაგრატიონი).
18. ქართული ენა-ლაზარე (იოანე-ზოსიმე) შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (თ. ბაგრატიონი).
19. ქართული ენა-ლაზარე შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში, როგორც სამსახოვანი მზის უძრავი წელიწადის კალენდარული სისტემა (რ. პატარიძე).
20. აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ქართული ასომთავრული ანბანი თავიდან 35 (ოცდათხუთმეტი) ასო-ნიშნისაგან შედგებოდა და „ჯან“ ასოთი მთავრდებოდა. „ჰაე“ ასო იყო თანხმოვანი და ქართულ ანბანში ეკავა მერვე ადგილი. შემდეგ, მოხდა „ჰაე“ ნიშნის 36 (ოცდათექვსმეტი) ნიშნად გადატანა და მისი ადგილი დაიკავა „ჰე“ ხმოვანმა.
21. ქართული ასომთავრული ანბანი შეიქმნა მცირე აზიაში ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს ქართველი ქურუმების წრეში ფინიკიური კონსონანტური დამწერლობის საფუძველზე, როგორც კონსონანტური დამწერლობა.
22. ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს განხორციელდა ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემიდან ქართული წარმართული მზის უძრავი წელიწადის კალენდარულ სისტემზე გადასვლა (რ. პატარიძე).
23. ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი ქართული ეროვნული (წარმართული) წელთაღრიცხვის დასაბამია.
24. ძალიან ბევრს საუბრობენ ქართული ასომთავრული ანბანის წარმოშობაზე ბერძნული დამწერლობიდან. ქართველ მეცნიერთაგან მხოლოდ ივ. ჯავახიშვილი მიხვდა, რომ ბერძნული ვოკალიზებული დამწერლობის გავლენა ქართულ ასომთავრულ დამწერლობაზე, შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ხმოვანთა სისტემის შეთვისება (ივ. ჯავახიშვილი).
25. ცნობილია, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ წყაროდ კლასიკური ბერძნული დამწერლობის გამოცხადებას.

26. აკად. პ. ინგოროყვას მოსაზრებით, ფარნავაზ მეფის დროს უნდა მომხდარიყო ქართული ასომთავრული ანბანის რეფორმირება.
27. ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს, კლასიკური ბერძნული ვოკალიზებული დამწერლობის საფუძველზე, ფარნავაზ მეფის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად განხორციელდა კონსონანტური ქართული დამწერლობის სრული ვოკალიზაცია (ლ. მროველი).
28. ამ რეფორმის შედეგად 35 (ოცდათხუთმეტი) ასო-ნიშნიანი ქართული კონსონანტური დამწერლობის ნაცვლად, მივიღეთ 38 (ოცდათვრამეტი) ასო-ნიშნიანი ვოკალიზებული და რეფორმირებული სრულყოფილი დამწერლობითი სისტემა.
29. ფარნავაზ მეფის დროს ქართულ კონსონანტურ ასომთავრულ დამწერლობას კლასიკური ბერძნული ვოკალიზებული დამწერლობის გავლენით დაემატა სამი ხმოვანი ასო-ნიშანი „ჰე“, „უნი“ და „ოჰი“.
30. ჩემი მოსაზრებით, სწორედ ამ სამი ხმოვანის დამატებამ გამოიწვია ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშნების სრული ვოკალიზაცია და ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ ანუ ქართული კონსონანტური ასომთავრული ანბანი (ხუცური თ. ბაგრატიონი), გარდაიქმნა რეფორმირებულ ქართულ „ხუთასიან ქორონიკონად“ ანუ ქართულ ვოკალიზებულ ასომთავრულ ანბანად.
31. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ წარმართულ ეპოქაში ქართველ ტომებს გააჩნდათ კონსონანტური დამწერლობა (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა), რომელსაც არ გააჩნდა ხმოვანი გრაფემები. არ არის გამორიცხული, რომ ქართული დამწერლობითი სისტემა ძვ. წელთაღრიცხვის 284 წლამდე ითვალისწინებდა წერის სისტემას მარჯვნიდან მარცხნივ ფინიკიური დამწერლობის მსგავსად (პ. ინგოროყვა).
32. მარცხნიდან მარჯვნივ წერის სისტემა ქართულ ასომთავრულ ანბანში ბერძნული კლასიკური დამწერლობის გავლენით, ფარნავაზ მეფის მიერ გატარებული რეფორმის შედეგად უნდა დანერგილიყო.
33. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ქართული წარმართული მთვარის წელიწადი (თეთრი გიორგის კულტი ი. ჯავახიშვილი) და ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ დაედო საფუძვლად ფარნავაზ მეფის მიერ არმაზის (ფარნავაზის საღვთო სახელი) კულტის შემოღებას.

34. ვ. ბაგრატიონის მოსაზრებით, ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემა (რ. პატარიძე), რეალურად არსებობდა.
35. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს სინას მთაზე. მეათე საუკუნის მოღვაწე იოანე ზოსიმე ამ დიდებული ქართული ძეგლის მხოლოდ გადამწერია.
36. ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს განხორციელდა რეფორმირებული (ფარნავაზ მეფე) ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ ანუ ქართული ასომთავრული (ხუცური) ანბანის შერწყმა და გაერთიანება იანვრის თვის წელიწადის რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდართან.
37. ქართული ასომთავრული ანბანის გრაფემები, რომლებსაც გააჩნდათ რიგითი და ანბანური სათვალავი, ქრისტიანული ეკლესიის წიაღში გამოიყენებოდა როგორც ათობითი პოზიციური სისტემა, რომლითაც ხდებოდა „ქორონიკონული“ წელთაღრიცხვის სხვადასხვა მოვლენებისა და თარიღების გამოთვლა-ანგარიში.
38. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ წმინდა ნინოს მიერ ქართული ენის „მოქცევა“ ნიშნავს რეფორმირებული (ფარნავაზ მეფე) ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ ანუ ქართული ენის წარმართული ტრადიციებიდან ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მორგებას.
39. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ საუკუნეთა განმავლობაში, რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარის შემოღებამდე, საქართველოში რეფორმირებული (ფარნავაზ მეფე) ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ მთვარის ცხრამეტწლიანი ციკლის მოძრავი კალენდარული სისტემით ხდებოდა იესო ქრისტეს აღდგომისა და სხვა ქრისტიანული მოძრავი დღესასწაულების თარიღების გამოთვლა-ანგარიში. სწორედ, ამ მოვლენას უნდა გულისხმობდეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ის ტექსტში ქართული ენის (ლაზარე) იესო ქრისტეს სიკვდილში ნათლისღებით დამარხვა.
40. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ოთხი დღის მკვდარი ლაზარე ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონია“.

41. ორშაბათი დღე ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ დღეა. ქართული ასომთავრული ანბანი, ქართული სახელების ბრუნვები, ქართული ზმნის მწკრივები, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (ქართული ენა), „ვეფხისტყაოსანი“ ორშაბათ დღეზე გათვლილი კალენდარული სისტემებია (ივ. ჯავახიშვილი).
42. რეფორმირებული ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ასომთავრული ანბანი) ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს შეერწყა იანვრის თვის რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარს, რითაც ორშაბათი დღის სისტემამ ქართულ წარმართულ კალენდარში ფუნქცია დაკარგა.
43. ქართული ასომთავრული ანბანი, ქართული სახელების ბრუნვები, ქართული ზმნის მწკრივები, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (ქართული ენა), „ვეფხისტყაოსანი“ „ქართული დასაბამითგანია“, რომელიც წელთაღრიცხვის 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიან ციკლზეა („ერთი დღე ვითარცა ათასი წელი“) აგებული.
44. წარმართულ ეპოქაში ქართულ ტომებს ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონთან“ ერთად გააჩნდათ ქართული „დასაბამითგანი“, როგორც წელთაღრიცხვის სისტემა.
45. 5604 წლიანი ციკლი ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონსა“ და ქართულ „დასაბამითგანში“ შუმერთა (ქალდეველთა) 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიანი წელთაღრიცხვიდან არის აღებული და ორშაბათი დღის სისტემას ეყრდნობა (ივ. ჯავახიშვილი), რითაც განსხვავდება რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარისა და ქრისტიანული „დასაბამითგანისგან“ , რომლებიც ბიბლიური „შესაქმის“ კვირა დღის სისტემასთანაა მიბმული.
46. დავით აღმაშენებელმა მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელმწიფო ინსტიტუტის შემოღებით საქართველოს ისტორიაში პირველად განახორციელა ხელისუფლების დანაწლების თეორია.
47. ორშაბათი დღე ქართული სამართლის დღეა (მთვარის, თეთრი გიორგის წმინდა დღე ი. ჯავახიშვილი). ჭყონდიდელის კულტი, იგივე თეთრი გიორგის კულტია. ორშაბათი დღე ჭყონდიდელისა და „სააჯო კარის“ დღეა. ორშაბათი დღე საქართველოში ხელისუფლების დანაწილების (დ. აღმაშენებელი) განხორციელების დღეა.
48. შოთა რუსთველის წარმოშობის მესხური თეორია დიდ კრიზის განიცდის. ვერანაირად ვერ მოხერხდა იმ მეჭურჭლეთუხუცესის

ვინაობის დადგენა, რომელიც თამარ მეფის სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი ვეზირი, მეჭურჭლეთუხუცესი შოთა რუსთველი იქნებოდა. ყველა თეორია ამ საკითხის შესახებ მხოლოდ ვარაუდებსა და დაშვებებზეა აგებული.

49. ჩემი აზრით, არც შოთა რუსთველია თამარ მეფის თანამედროვე და არც „ვეფხისტყაოსანშია“ ასახული მეთორმეტე საუკუნის ქართული სახელმწიფოებრიობა (კ. ღლონტი).
50. თეიმურაზ ბაგრატიონის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მეცამეტე საუკუნის მოღვაწე, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრია. ამ მოსაზრებას იზიარებდნენ აკადემიკოსები: მ. ბროსე, პ. ინგოროყვა და სხვები.
51. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი (თ. ბაგრატიონის ვერსიით შოთა რუსთველი), თამარ მეფის შემდეგდროინდელი, მეცამეტე საუკუნის მოღვაწე იყო (ჟამთააღმწერელი, ივ. ჯავახიშვილი).
52. შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებულია ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონისა“ და ქართული „დასაბამითგანის“ კალენდარული სისტემები.
53. ქართული ასომთავრული (ხუცური) ანბანი ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემაა (რ. პატარიძე).
54. ქართული სახელების ბრუნვები ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემაა.
55. ქართული ზმნის მწკრივები ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემაა.
56. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემაა.
57. შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) „ვეფხისტყაოსანი“ ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადის კალენდარული სისტემაა.
58. შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) მოსახსენებელი აღაპი ორშაბათ დღეს არის დადგენილი მის სიცოცხლეში იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში. შესაძლოა, ეს მოვლენა ქართული „ქორონიკონის“ ორშაბათი დღის სისტემას უკავშირდებოდეს.
59. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ მზის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი და მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლი.

60. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარის მზის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი და მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლი.
61. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ეგვიპტური მზის მოძრავი კალენდარი.
62. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება შუმერულ-ბაბილონური მთვარის კალენდარი.
63. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ქრისტიანული (ბიბლიური) „დასაბამითგანი“.
64. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმებისაგან შედგენილი სისტემა. სულ 35 (ოცდახუთმეტი) პარადიგმაა, რომელიც ქმნის ნაწარმოების ალეგორიულ დედააზრს. ეს სისტემა მთლიანადაა გაშიფრული.
65. „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ წყაროს ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობა) სპარსულ რელიგიაში არსებული „ღმერთის სასუფევლის“, „ცათა სასუფევლის“ (მესიის, მხსნელის) რელიგიური იდეა წარმოადგენს. სწორედ, ეს უნდა იყოს „ვეფხისტყაოსნის“ „სპარსული ამბავი“ და „ტარიელის ამბავი“, ანუ სპარსული წყარო, რომლის დადგენაც საუკუნეთა განმავლობაში ვერ ხერხდებოდა (ვახტანგ მეექვსე).
66. ზოროასტრიზმის სპასული რელიგიის მსგავსად „მესიის“, „მხსნელის“ „ამბავი“ დასტურდება ბიბლიაში, ახალ აღთქმაში. ხოლო, ბიბლია „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიული დედააზრის საფუძველს წარმოადგენს.
67. „ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირი ტარიელი იესო ქრისტეა, ხოლო ნაწარმოების სამი ძირითადი პერსონაჟი (ფრიდონი, ტარიელი, ავთანდილი) ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამებაა (კ. ღლონტი).
68. შოთა რუსთველმა (შოთა კუპრი) თავის ნაწარმოებში შეიმუშავა და ასახა მსოფლიოში უნიკალური შვიდსაფეხურიანი სამხედრო სტრატეგიული დაგეგმარების ერთიანი სისტემა („ვეფხისტყაოსნის“ გმირთა საბრძოლო გეგმები ქაჯეთის ციხის აღებისას).
69. შოთა რუსთველმა (შოთა კუპრი) თავის ნაწარმოებში მსოფლიოში პირველმა შეიმუშავა და პრაქტიკულად განახორციელა ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია.

70. ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია (ჯ. ლოკი, შ. ლ. მონტესკიე) საფუძველს ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების რელიგიური დოგმატიდან იღებს.
71. პატივცემული მეცნიერის ე. მეტრეველის და სხვათა მოსაზრებით, მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველის მოსახსენებელი აღაპი იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში უნდა დაწესებულიყო ახ. წელთაღრიცხვის მეცამეტე საუკუნის პირველი ნახევრის მიწურულს, ორმოც-ორდაათიან წლებში მის სიცოცხლეში (ე. მეტრეველი).
72. იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე გამოსახულია ღრმადმოხუცებული, მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველის ფრესკული პორტრეტი, რომლის პორტრეტის გამოსახვასაც მონასტრის კედელზე, ყველა მკვლევარი პოეტის მოსახსენებელი აღაპის დაწესებას უკავშირებს.
73. ეს მოსაზრება, არანაირად სიმართლეს არ შეესაბამება.
74. ჩემი მოსაზრებით, მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველის მოსახსენებელი აღაპის დაწესებასა (მის სიცოცხლეში) და იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე პოეტის ფრესკული პორტრეტის გამოსახვას (მის სიცოცხლეში) შორის სხვაობა 60-68 (სამოცი-სამოცდარვა) წელია (კ. ღლონტი).
75. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ შოთა რუსთველს (შოთა კუპრი) მოსახესენებელი აღაპი დაუწესეს სრულიად ახალგაზრდას (მის სიცოცხლეში, ე. მეტრეველი), როცა ის უნდა ყოფილიყო არაუმეტეს 38-40 (ოცდათვრამეტი-ორმოცი) წლის. ხოლო, მისი ფრესკული პორტრეტის გამოსახვა იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე (მის სიცოცხლეში) უნდა მომხდარიყო, როცა პოეტი უკვე ღრმადმოხუცებული, დაახლოებით 100-105 (ასი-ასხუთი) წლისა იქნებოდა. ტრადიციის მიხედვითაც, პოეტს ღრმადმოხუცებულობამდე უცოცხლია.
76. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ პირველად შოთა რუსთველს (შოთა კუპრი) იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში მოსახსენებელი აღაპი დაუწესეს სრულიად ახალგაზრდას 38-40 (ოცდათვრამეტი-ორმოცი) წლისას, მის სიცოცხლეში (არსებობდა ამგვარი ტრადიცია ე. მეტრეველი).
77. შემდეგ, შოთა რუსთველმა (შოთა კუპრი) დაწერა თავისი „ვეფხისტყაოსანი“.

78. ბოლოს, იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე მოხდა ღრმადმოხუცებული, შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) ფრესკული პორტრეტის გამოსახვა, ასევე მის სიცოცხლეში (ე. მეტრეველი).
79. მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველს (შოთა კუპრი), იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში მოსახსენებელი აღაპი დაუწესეს მის სიცოცხლეში, იმ დამსახურების გამო, რომელიც მას მიუძღოდა იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის შეკეთებისა და მოხატვისათვის (ე. მეტრეველი).
80. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ მეჭურჭლეთუხუცეს შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) ფრესკული პორტრეტის გამოსახვა იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე, უნდა მომხდარიყო ახ. წელთაღრიცხვის 1305-1314 წლებში პოეტის სიცოცხლეში (ე. მეტრეველი).
81. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისისათვის, 1305-1314 წლებისათვის, დიდი ქართველი პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე, ცოტნე დადიანის თანამებრძოლი (ჟამთააღმწერელი) ქართველი ფეოდალი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი (შოთა რუსთველი, თ. ბაგრატიონი), ღრმადმოხუცებული ჯერ ისევ ცოცხალი იყო (კ. ღლონტი).
82. შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 1312 წელს იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში.
83. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება სიმეტრიის პრინციპი.
84. „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ქრისტიანული დოგმატიკის „მერვე დღე“, რომელიც ქრისტიანული სწავლების თანახმად, იესო ქრისტეს მეორედ მოსვლასა და დედამიწაზე ღმერთის სასუფევლის დამყარებას უკავშირდება და მას დასასრული არ გააჩნია.
85. „ვეფხისტყაოსანში“ ამ მოვლენის მხატვრული ასახვაა გამოხატული. პოემაში ქრისტიანული დოგმატიკის „მერვე დღე“ ნაწარმოების სამი მთავარი გმირის მიერ ქაჯეთის ციხის განადგურებისა და იქედან, ნესტან-დარეჯანის გამოხსნის შემდეგ იწყება, რასაც მოსდევს აპოკალიფსური ქორწინებანი (იოანეს გამოცხ. 19,7).
86. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ შუა საუკუნეებში, საქართველოში 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიან ციკლზე გათვლილი ორი „ხუთასიანი

ქორონიკონი“ არსებობდა. პირველი რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარი, რომელიც ქრისტიანულ „დასაბამითგანთან“ (ბიბლიური „შესაქმე“) იყო შეთანხმებული და რეფორმირებული ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ასომთავრული ანბანი), რომელსაც შუმერთა (ქალდეველთა, თ. ბაგრატიონი) 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიანი წელთაღრიცხვა ედო საფუძვლად.

87. „ფსევდო-დიონისე არეოპაგელის“ საიდუმლოება ხუთმეტი საუკუნის ამოუხსნელ პრობლემას წარმოადგენდა მსოფლიო მეცნიერებისათვის. „არეოპაგიტულ კორპუსში“ ავტორი იმოწმებს თავის „ღვთაებრივ მოძღვარ“ იეროთეოსს, რაც ბერძნულად „ღმერთის ტაძარს“ ნიშნავს. „არეოპაგიტიკის“ ავტორს მოჰყავს ციტატები და ამონარიდები თავისი მოძღვარის წიგნიდან, რომელსაც უწოდებს „თეოლოგიურ ელემენტებს“. ხოლო, ციტატები და ამონარიდები რეალურად მოყვანილია სახარებიდან. ევროპული მეცნიერებისათვის დღესაც უცნობია არეოპაგიტიკის ავტორის მოძღვარის იეროთეოსის ანუ „ღმერთის ტაძრის“ ვინაობა (ა. გაწერელია). „იეროთეოსი“ არ აღმოჩნდა იოანე ევნუქი (ჰონიგმანი). არც ფსევდო-დიონისე არეოპაგელი აღმოჩნდა პეტრე იბერი (ნუცუბიძე-ჰონიგმანის თეორია). იეროთეოსის ანუ „ღმერთის ტაძრის“ ქვეშ რეალურად არსებული ისტორიული პირი იმალება.

88. ჩემი მოსაზრებით, „არეოპაგიტული კორპუსის“ ავტორის „ღვთაებრივი მოძღვარი“ იეროთეოსი ანუ „ღმერთის ტაძარი“ უფალი ჩვენი იესო ქრისტეა, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პირველ საუკუნეში. თუ იეროთეოსის ანუ „ღმერთის ტაძრის“ და უფალი ჩვენი იესო ქრისტეს ისტორიული პიროვნების გაიგივება სიმართლეს შეესაბამება (თუ „არეოპაგიტიკის“ ავტორი თავის მოძღვარ იეროთეოსში ანუ „ღმერთის ტაძარში“ იესო ქრისტეს პიროვნებას გულისხმობს) მაშინ გამოდის, რომ მსოფლიო მეცნიერებისათვის ხუთმეტი საუკუნის განმავლობაში „ამოუხსნელად“ მიჩნეული პრობლემა ამოხსნილია და „არეოპაგიტიკის“ ავტორი მართლაც, პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე არეოპაგელია.

89. „რენესანსი“ ფრანგული სიტყვაა და რაიმე მოვლენის ხელახლა დაბადებას, აღორძინებას (ვ. ნოზაძე) გულისხმობს. საქართველოში

არანაირი „აღმოსავლური რენესანსი“ (შ. ნუცუბიძე), იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არ იყო ამის საჭიროება (ვ. ნოზაძე).

90. რაც შეეხება, „მსოფლიო რენესანსის“ პრობლემატიკას, აქ ცენტრალურ ფიგურას იესო ქრისტეს ისტორიული პიროვნება წარმოადგენს, რომლის მკვდრეთით აღდგომაც კაცობრიობისათვის სიცოცხლის განახლებისა და ხელახალი აღორძინების (რენესანსი) მიმნიჭებელია. ცნობილია, რომ სწორედ, იესო ქრისტე იყო ყოველგვარი ჰუმანისტური იდეების უპირველესი ფუძემდებელი და მქადაგებელი, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო მსოფლიოს მაშტაბით ნებისმიერი ჰუმანისტური იდეების გამოვლენასა და ჩამოყალიბებას.
91. გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ „მსოფლიო რენესანი“ განხორციელდა ახ. წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის პირველ ნახევარში, იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით. ამ თვალსაზრისით, „მსოფლიო რენესანსის“ პრობლემატიკა სწორედაც, რომ იესო ქრისტეს ისტორიულ პიროვნებას უკავშირდება და მის გარეშე არ არსებობს.
92. ცვლადი დენის სამფაზა გენერატორების, სამფაზა ტრანსფორმატორებისა და ელექტრული წრედის მუშაობის პრინციპს, საფუძვლად უდევს ბიბლიურ-ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამებისა და იესო ქრისტეს ღვთაებრივი და კაცობრივი ბუნების რელიგიური პრინციპი.
93. კაცობრიობა, როგორც ერთეული ქრისტიანული წმინდა ერთარსება სამების შემოქმედებაა. ამიტომაც, ის განიხილება როგორც სიმბოლური სამება. ქრისტიანული სამება ქმნის ელექტრომაგნიტურ ველს (დაბადება 1.3), რომლის ბუნებაც სამსახოვნებაა, აქედან, ენერგიის გარდაქმნით, ვღებულობთ ცვლადი დენის სამფაზა გენერატორებსა და სამფაზა ტრანსფორმატორებს, რომელთა მუშაობის პრინციპიც სამი ფაზის ერთიანობაშია გამოხატული.
94. ცვლადი დენის სამფაზა გენერატორების, სამფაზა ტრანსფორმატორებისა და ელექტრული წრედის მუშაობის პრინციპს, საფუძვლად უდევს მთვარის ფაზები და მზის წელიწაადის (წრე) კალენდარული პრინციპი.
95. სიტყვა „წრედი“ წრისაგან და წელიწადისაგან არის ნაწარმოები და მზის წელიწადის კალენდარულ პრინციპს უკავშირდება (ივ. ჯავახიშვილი).
96. კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში დასტურდება ქართული წარმართული მთვარის (თეთრი გიორგი) კალენდარული

სისტემა. წარმართულ ეპოქაში საქართველოში მთვარის წმინდა დღედ ორშაბათი დღე ითვლებოდა (ივ. ჯავახიშვილი). სწორედ, ეს მოვლენა უდევს საფუძვლად თეთრი გიორგის (მთვარის) კულტის არსებობას კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში.

97. კონსტანტინე გამსახურდიას რომანებსა და ნოველებში დასტურდება ქრისტიანული „მისტიკურ-ალეგორიული“ თეორია ანუ ქრისტიანული „საღვთო მიჯნურობის“ იდეა (ვახტანგ მეექვსე), რითაც დასტურდება, რომ მწერლის შემოქმედების სახით საქმე გვაქვს ქრისტიანული მსოფლმხედველობის მწერალთან და მოაზროვნესთან.

98. კონსტანტინე გამსახურდიას რომანებში დასტურდება ხელისუფლების დანაწილების თეორია (ჯ. ლოკი, შ. ლ. მონტესკიე), რომელიც მწერლის რომან „დავით აღმაშენებელში“, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელმწიფო ინსტიტუტითა და ორშაბათი დღის („საჯო კარი“) სამართლებრივი სისტემით არის წარმოდგენილი. ორშაბათი დღე ქართული სამართლისა (მთვარე-თეთრი გიორგი. ივ ჯავახიშვილი) და ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ კალენდარული დღეა.

99. ქართული ასომთავრული (ხუცური) ანბანი, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს მცირე აზიაში.

100. ქართული სახელების ბრუნვები, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს მცირე აზიაში.

101. ქართული ზმნის მწკრივები, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს მცირე აზიაში.

102. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს სინას მთაზე.

103. შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“, შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 1312 წელს იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში.

104. ქართულმა წარმართულმა სამსახოვანმა „ხუთასიანმა ქორონიკონმა“ (ქართული ასომთავრული ანბანი) რეფორმირებული სახით (ფარნავაზ მეფე) მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებამდე იარსება.

105. მეცხრამეტე საუკუნეში გატარებული რეფორმის შედეგად (ი. ჭავჭავაძე) მას მოაკლეს ხუთი ასო-ნიშანი და სახეზე დაგვრჩა 33 (ოცდაცამეტი) ასო-ნიშნიანი ქართული მხედრული დამწერლობა.

106. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთველი (შოთა კუპრი, თ. ბაგრატიონი), მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნული უნდა ყოფილიყო თამარ მეფის შვილის, რუსუდან მეფის სამეფო კარზე მეცამეტე საუკუნის შუა ნახევარში.

107. შოთა კუპრი (შოთა რუსთველი) იყო მეცამეტე საუკუნის შუა ნახევრის დიდი სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მისი დროის ყველა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

108. იმ მოღვაწეებმა (ანტონ კათალიკოსი, ტიმოთე გაბაშვილი და სხ.), რომლებმაც გააკრიტიკეს „ვეფხიტყაოსანი“ და მისი გენიალური ავტორი, ვერ გაიგეს ეს ნაწარმოები, რომლის „სულიც“ მთლიანად ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზეა აგებული.

109. ქართულმა წარმართულმა სამსახოვანმა „ხუთასიანმა ქორონიკონმა“ ანუ ქართულმა ასომთავრულმა ანბანმა ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს განიცადა რეფორმა (ფარნავაზ მეფე) და მას მოეშალა „წილ“-„ჯან“ ეპაგომენები.

110. რეფორმირებული ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ფარნავაზ მეფე) ანუ ქართული ასომთავრული ანბანი ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს შეერწყა იანვრის თვის წელიწადს ანუ რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარს.

111. ქართული ენა და ქართული ანბანი წარმართული ეპოქის პროდუქტია (ლ. მროველი, თ. ბაგრატიონი).

112. ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ სინონიმებია ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადი (რ. პატარიძე), ქართული „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ვ. ბაგრატიონი, თ. ბაგრატიონი), ქართული მზის უძრავი წელიწადის კალენდარული სისტემა (რ. პატარიძე), ქართული ენა-ლაზარე (იოანე-ზოსიმე).

113. შუმერთა (ქალდეველთა თ. ბაგრატიონი) კულტურული მემკვიდრეობის გვირგვინს ქართული კულტურისათვის ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ ანუ ქართული ენა-ლაზარე (იოანე-ზოსიმე) წარმოადგენს.

114. „დამარხული“, „მძინარე“, „მდაბალი“ და „დაწუნებული“ (იოანე ზოსიმე) ქართული ენა ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონია“.

115. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ „ორნი დანი“ (წმინდა ნინო და ჰელენა დედოფალი) ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადისა (რ. პატარიძე) და იანვრის თვის წელიწადის (რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარი) კალენდარული სისტემებია.

116. ქართულ ენაში „დამარხული ყოველი საიდუმლო“ („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“) იესო ქრისტეს შობის საიდუმლოა, რომლის ამქვეყნიური მოვლინებაც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონით“ (ქართული ენა) იანგარიშებოდა და გამოითვლებოდა.

117. ქართული ენა ანუ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ლზარე) „მდაბალი“ და „დაწუნებულია“ ბერძნულ „ქორონიკონთან“ მიმართებაში, რომელიც წელთაღრიცხვის სხვაგვარ სისტემას ემყარებოდა. ასეთია, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ის ტექსტში გატარებული აზრი.

118. ქართული ენის „სასწაული“ რიცხვი 94 (ოთხმოცდათოთხმეტი) („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“), „ქართული დასაბამითგანის“ სასწაული რიცხვია, რომლითაც იგი განსხვავდება ბერძნული „ქორონიკონისაგან“. ეს რიცხვი არ უნდა გავაიგივოთ ქრისტიანული (ბიბლიური) „დასაბამითგანის“ რიცხვ 96-თან (ოთხმოცდათექვსმეტი), რითაც, რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარი განსხვავდება ბერძნული „ქორონიკონისაგან“.

119. ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადი (ქართული წარმართული მზის უძრავი წელიწადის კალენდარული სისტემა), აღმოაჩინა ქართული ასომთავრული ანბანის უბადლო მკვლევარმა პროფესორმა რ. პატარიძემ.

120. ჩემი მოსაზრებით, პატივცემულ მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა ქართული ასომთავრული ანბანის (მზის უძრავი წელიწადის კალენდარი, რ. პატარიძე) მზის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი.

121. ქართული კულტურის დიდებულ ძეგლში „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ის ტექსტში ნახსენებია ასო-ნიშანი „წილი“, რომლის რიგითი სათვალავია 31 (ოცდათერთმეტი), ხოლო ანბანური სათვალავი წარმოადგენს 4 (ოთხი) ათასს. დღემდე, ამოუხსნელ საიდუმლოს წარმოადგენდა თუ რას გულისხმობდა ასო-ნიშან „წილ“-ის საიდუმლო. ის გულისხმობს მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს, რომელიც ქართულ ასომთავრული ანბანის (ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“) უმთავრეს „საიდუმლოს“ წარმოადგენს, მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიან (რ. პატარიძე) ციკლთან ერთად (კ. ღლონტი).

122. მკვლევარ რ. პატარიძის მოსაზრებით, ასო-ნიშანი „წილი“ მზის უძრავი წელიწადის 3 (სამი) უნაკო და 1 (ერთი) ნაკიან წელიწადს ანგარიშობს (რ. პატარიძე „ქართული ასომთავრული“).

123. ჩემი მოსაზრებით, ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“ ანგარიშობს არა მზის უძრავი წელიწადის 128 (ასოცდარვა) წლიან ციკლს (რ. პატარიძე), არამედ, 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს (კ. ღლონტი).

124. ჩემი მოსაზრებით, პირველად, ქართული ასომთავრული ანბანი კონსონანტურ დამწერლობას წარმოადგენდა, რომელიც ითვალისწინებდა მზის 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს და მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიან ციკლს (რ. პატარიძე).

125. ფარნავაზ მეფის დროს ჩატარებული რეფორმის შედეგად, რაც გამოიხატა ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნების ვოკალიზაციაში, ქართულ დამწერლობას მოეშალა ეპაგომენები, რომლებსაც წარმოადგენდნენ ასო-ნიშნები „წილ“-„ჯანი“. მოხდა სამი ხმოვნის ჩამატება ქართულ ასომთავრულ ანბანში „ჰე“-ს, „უნ“-ის და „ოჰ“-ის. ამან გამოიწვია ქართული ასომთავრული ანბანის სრული ვოკალიზაცია. ასო-ნიშანმა „წილ“-მა, რომელიც მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს ანგარიშობდა, ფუნქცია დაკარგა და გაუქმდა.

126. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ში ნახსენები ასო-ნიშანი „წილი“, რომელიც მათეს სახარებაში აღწერილ იესო ქრისტეს შობას უკავშირდება, მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს გამოხატავს.

127. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში სწორედ, მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიან ციკლზე იყო აგებული უმთავრესი ქრისტიანული უძრავი დღესასწაულები (ქრისტეს შობა, ხარება, ნათლისღება, ფერიცვალება და სხ.), ისევე, როგორც მზის უძრავი წელიწადის მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიანი მოძრავი კალენდარული სისტემით ანგარიშობდნენ უმთავრეს ქრისტიანულ მოძრავ (ქრისტეს აღდგომა, ამაღლება, სულიწმიდის მოფენა და სხ.) დღესასწაულებს.

128. ჩემი მოსაზრებით, „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ის ტექსტით დასტურდება, რომ წარმართულ ეპოქაში ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონში“ მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშან „წილ“-ით იანგარიშებოდა.

129. „დამარხულ“, „მძინარე“, „მდაბალ“ და „დაწუნებულ“ ქართულ ენაში (ლაზარე) 35 (ოცდახუთმეტი) ასო-ნიშნიანი კონსონანტური ქართული ასომთავრული ანბანი (ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“) იგულისხმება, რომელმაც ფარნავაზ მეფის მიერ გატარებული რეფორმის შემდეგ, ძირითადად, დაკარგა კალენდარული ფუნქცია და შემდგომ საუკუნეებში დამწერლობით სისტემასთან ერთად გამოიყენებოდა, როგორც მათემატიკური, ათობითი პოზიციური სისტემა. (ქართული ასომთავრული ანბანის გრაფემებმა და სახელდებამ შუა საუკუნეებში შეინარჩუნეს ასო-ნიშნების რიგითი და ანბანური სათვალავი).

130. ანბანის ასო-ნიშნები, როგორც რიცხვები ისე გამოიყენებოდა როგორც წარმართულ (ივ. ჯავახიშვილი), ასევე ქრისტიანულ ეპოქაში (ვ. ბაგრატიონი).

ძირითადი დასკვნები

მოკლე დასკვნების სახით წარმოვადგენთ ძირითად ჰიპოთეზებს

1. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკულ წყაროს, ამავე ანბანის პირველი ასო-ნიშნის „ანი“-ს დიდი ზედა ჰორიზონტალური ხაზი და დიდი რკალი წარმოადგენს (ლურსმული (ქალდეური) ხაზოვან-მარცვლოვანი დამწერლობა თ. ბაგრატიონი).
2. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში დასტურდება ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ 28 (ოცდარვა)

წლიანი ციკლი, რომელსაც ანბანის ასო-ნიშანი „წილი“ („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“) ანგარიშობს.

3. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი და ანბანური სათვალავი წარმოადგენს ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონს“ (ვ. ბაგრატიონი).
4. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული სახელების ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები (ებ-იანი და ნარ-თანიანი ნიშნები) წარმოადგენს ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონს“ (ა. შანიძე).
5. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ზმნის მწკრივები და მწკრივის ნიშნები (ძველი და ახალი ასპექტი) წარმოადგენს ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონს“ (ა. შანიძე).
6. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ენა წარმოადგენს ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონს“.
7. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის გრაფიკული ნიშნები და სახელდება, რიგითი და ანბანური სათვალავი შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
8. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული სახელების ბრუნვები და ბრუნვის ნიშნები (ებ-იანი და ნარ-თანიანი ნიშნები) შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
9. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ზმნის მწკრივები და მწკრივის ნიშნები (ძველი და ახალი ასპექტი) შეიქმნა ძვ. წელთღრიცხვის 816 წელს.
10. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ენა როგორც ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ვ. ბაგრატიონი), შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
11. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ რომ ქართული წარმართული მთვარის კალენდარული სისტემიდან (ი. ჯავახიშვილი), ქართული წარმართული მზის უძრავი წელიწადის კალენდარულ სისტემზე გადასვლა (რ. პატარიძე) განხორციელდა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
12. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ეროვნული (წარმართული) წელთაღრიცხვის დასაბამი თარიღია ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელი.
13. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი როგორც კონსონანტური დამწერლობა ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
14. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ფარნავაზ მეფის დროს ჩატარებული რეფორმის შედეგად კლასიკური ბერძნული ვოკალიზებული ანბანის საფუძველზე განხორციელდა კონსონანტური ქართული ასომთავრული ანბანის სრული ვოკალიზაცია (ივ. ჯავახიშვილი) ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს.
15. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ფარნავაზ მეფის დროს შექმნილი არმაზის (ფარნავაზის საღვთო სახელი) კულტი, შექმნილია ქართული წარმართული მთვარის (თეთრი

გიორგი) კულტისა და ქართული წარმართული სამსახოვანი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონის“ (ქართული ენა) საფუძველზე.

16. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ენა) შექმნილია ქართული წარმართული მთვარის (თეთრი გიორგი) წელიწადის კალენდარული სისტემის საფუძველზე.
17. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართულ წარმართულ სამსახოვან (ქართული ასომთავრული (ნუსხური) ანბანი, ქართული სახელების ბრუნვები, ქართული ზმნის მწკრივები) „ხუთასიან ქორონიკონში“ დასტურდება მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი და მთვარის მოძრავი წელიწადის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლი.
18. პატივცემულმა მკვლევარმა რ. პატარიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში მეტონის ტოლობის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლი დასტურდება.
19. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 780 წელს სინას მთაზე.
20. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ოთხი დღის მკვდარი ლაზარე“ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ და ქართული „დასაბამითგანია“.
21. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონთან“ ერთად წარმართულ ეპოქაში არსებობდა „ქართული დასაბამითგანი“, რომელსაც ქართული ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშანზე აგებული პირველი შვიდეული, ქართული სახელების ბრუნვების ნარ-თანიანი ნიშნების შვიდეული და ქართული ზმნის მწკრივების ძველი ასპექტის (ა. შანიძე) შვიდეული წარმოადგენდა.
22. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ქართული დასაბამითგანი“ ქართულ წარმართულ სამსახოვან „ხუთასიან ქორონიკონთან“ ერთად შეიქმნა ძვ. წელთაღრიცხვის 816 წელს.
23. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის „ან“ ასო-ნიშანზე აგებული პირველი შვიდეული, ქართული სახელების ბრუნვების ნარ-თანიანი ნიშნების შვიდეული და ქართული ზმნის მწკრივების ძველი ასპექტის (ა. შანიძე) შვიდეული ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ მთვარე-მზის კალენდარული სისტემის (რ. პატარიძე) 7 (შვიდ) ნაკიან წელიწადს წარმოადგენს (მთვარე-თეთრი გიორგის კულტი).
24. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის სამი შვიდეული („ჰაე“, „იე“, „ვე“) ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ მზის უძრავი წელიწადის 21 (ოცდაერთი) უნაკო წელიწადს ანგარიშობს.
25. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართულ ენაში „დამარხული ყოველი საიდუმლო“ („ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“) ქრისტეს შობის საიდუმლოა.
26. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ენის „სასწაული რიცხვი 94 (ოთხმოცდათოთხმეტი)“ „ქართული დასაბამითგანის“ (ქართული ენის) „სასწაული რიცხვი 94-ია“.

27. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ის „ორნი დანი“ წმინდა ნინო და ჰელენა დედოფალი (მარიამ და მართა) ქართული წარმართული სამსახოვანი „ქართული ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული წარმართული მარტის თვის წელიწადი) და რომაული იულიუსი (საეკლესიო) კალენდარია (იანვრის თვის კალენდარული სისტემა).
28. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის ასო-ნიშანი „წილი“, რომელიც, მათეს სახარებასა და იესო ქრისტეს შობას უკავშირდება, ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონის“ 28 (ოცდარვა) წლიან ციკლს ანგარიშობს.
29. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ იესო ქრისტეს ნათლისღებაში დამარხული ქართული ენა-ლაზარე ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონია“.
30. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა ახ. წელთაღრიცხვის 1312 წელს იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში.
31. თ. ბაგრატიონმა გამოთქვა ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორია მეცამეტე საუკუნის ქართველი ფეოდალი, ჰერეთის ერისთავი შოთა კუპრი. მკვლევარები რომლებიც თ. ბაგრატიონის ამ მოსაზრებას იზიარებდნენ (მ. ბროსე, პ. ინგოროყვა და სხ.) და თავად თ. ბაგრატიონიც, შოთა კუპრის (შოთა რუსთველი) სახელს თამარ მეფეს და მეთორმეტე საუკუნის ქართულ სახელმწიფოებრიობას უკავშირებდნენ.
32. ხოლო, „ჟამთააღმწერელის“ (ივ. ჯავახიშვილი) ცნობით, შოთა კუპრი მეცამეტე საუკუნის ორმოციანი წლების დიდი სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომელსაც მონაწილეობა ჰქონდა მიღებული მეცამეტე საუკუნის შუა ხანების ქართულ სახელმწიფოში მომხდარ ყველა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენაში.
33. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ შოთა კუპრი (შოთა რუსთველი) მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნული იყო თამარ მეფის შვილის, რუსუდან მეფის სამეფო კარზე მეცამეტე საუკუნის შუა ნახევარში.
34. „ვეფხისტყაოსნის“ დაწერა შოთა რუსთველს (შოთა კუპრი) უნდა დაეწყო მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, იერუსალიმის ჯვრის ქართულ მონასტერში მისი მოსახსენებელი აღაპის დაწესების შემდეგ.
35. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) ფრესკული პორტრეტი იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე გამოისახა ახ. წელთაღრიცხვის 1305-1314 წლებში (ე. მეტრეველი) მის სიცოცხლეში.
36. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ შოთა რუსთველის (შოთა კუპრი) მოსახსენებელი აღაპის დაწესებასა და იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე მისი ფრესკული პორტრეტის გამოსახვას შორის განსხვავება 60-68 (სამოცი-სამოცდარვა) წელია.
37. მანამდე, ყველა მკვლევარი შოთა რუსთველის მოსახსენებელი აღაპის დაწესებასა და იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის კედელზე მისი ფრესკული პორტრეტის

გამოსახვას ერთსა და იმავე დროს (მეცამეტე საუკუნის ორმოცი-ორმოცდაათიანი წლები) და ერთიმეორეს უკავშირებდნენ.

38. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ მეთოთხმეტე საუკუნის დასაწყისისათვის (1305-1314 წლებისათვის ე. მეტრეველი) ღრმადმოხუცებული შოთა რუსთველი (შოთა კუპრი) ჯერ ისევ ცოცხალი იყო.
39. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულ დედააზრს წარმოადგენს ბიბლიურ-ქრისტიანული პარადიგმებისგან შედგენილი სისტემა (ვახტანგ მეექვსე).
40. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულ წყაროს წარმოადგენს ზოროასტრიზმის (ცეცხლთაყვანისმცემლობა) რელიგიური იდეა მესიის, მხსნელის ამქვეყნად მოვლინებისა და მარადიული სასუფევლის დამყარების შესახებ.
41. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ და ქართული „დასაბამითგანი“ („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა სახელები).
42. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარი (ნაწარმოების შვიდი მნათობი, მზის ჯგუფი და მთვარის ჯგუფი).
43. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ქრისტიანული „დასაბამითგანი“ (ინდოეთიშ შვიდი სამეფო).
44. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ეგვიპტური მზის მოძრავი კალენდარი „...მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა“).
45. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება შუმერულ-ბაბილონური მთვარის კალენდარი (მთვარესა ეტყვის „იფიცე სახელი ღმრთისა შენისა“).
46. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება მსოფლიოში უნიკალური შვიდსაფეხურიანი სამხედრო სტრატეგიული დაგეგმარების ერთიანი სისტემა (პოემის გმირთა გეგმები ქაჯეთის ციხის აღების დროს).
47. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დასტურდება ხელისუფლების სამად დანაწილების თეორია (ტარიელის გეგმა ქაჯეთის ციხის აღებისას).
48. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართულმა წარმართულმა სამსახოვანმა „ხუთასიანმა ქორონიკონმა“ ანუ ქართულმა ასომთავრულმა (ხუცური) ანბანმა რეფორმირება განიცადა (მოეშალა ეპაგომენები) ფარნავაზ მეფის დროს, ხოლო, გაუქმდა მეცხრამეტე საუკუნეში ილია ჭავჭავაძისა და სხვა მოღვაწეთა მიერ ქართული დამწერლობის რეფორმის შედეგად.
49. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „არეოპაგიტული კორპუსის“ ავტორის „ღვთაებრივი მოძღვარი“ იეროთეოსი ანუ „ღმერთის ტაძარი“ იყო ისტორიული პიროვნება, უფალი ჩვენი იესო ქრისტე. თუ ეს მოსაზრება სიმართლეს შეესაბამება, მაშინ, გამოდის რომ „არეოპაგიტული კორპუსის“ ავტორი პირველი საუკუნის მოღვაწე დიონისე

არეოპაგელია, რითაც, საბოლოოდ ამოიხსნება „მსოფლიო მეცნიერებისათვის ამოუხსნელი პროლემა“.

50. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ „მსოფლიო რენესანსის“ უმთავრეს მოვლენას იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, „მსოფლიო რენესანსის“ პრობლემატიკა უკავშირდება იესო ქრისტეს ისტორიულ პიროვნებას.
51. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ („ქართული დასაბამითგანი“) შექმნილია შუმერების (ქალდეველთა) 5604 (ხუთიათასექვსასოთხი) წლიანი წელთაღრიცხვისა და მზის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლისა და მთვარის 19 (ცხრამეტი) წლიანი ციკლის საფუძველზე ძვ. წელთაღრიცხვის 816 (რვაასთექვსმეტი) წელს.
52. შემდეგში, ეს სისტემა საფუძვლად დაედო რომაული იულიუსის (საეკლესიო) კალენდარისა და ქრისტიანული „დასაბამითგანის“ გავრცელებასა და დამკვიდრებას საქართველოში ახ. წელთაღრიცხვის 780 (შვიდასოთხმოცი) წლიდან.
53. გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ საქართველოში შემოსულმა ქართულმა ტომებმა (თუბალ-იბერები, ივ. ჯავახიშვილი) ეს ქართული წარმართული სამსახოვანი „ხუთასიანი ქორონიკონი“ (ქართული ენა) შემოიტანეს საქართველოში (ქართლში) ძვ. წელთაღრიცხვის მეშვიდე-მეექვსე საუკუნეებში, რომელიც ფარნავაზ მეფის მიერ ჩატარებული რეფორმის შედეგად ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს საფუძვლად დაედო ქართულ სახელმწიფოებრიობას.
54. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისა“-ის ტექსტში „წილ“ ასო-ნიშნის არსებობა იმ ფაქტის მტკიცებულებაა, რომ:
55. ქართული ასომთავრული (ნუსხური) ანბანი ქართული „ხუთასიანი ქორონიკონია“.
56. ქართულ ასომთავრულ ანბანში დასტურდება მზის უძრავი წელიწადის 28 (ოცდარვა) წლიანი ციკლი.
57. ქართული ენა-ლაზარე ქართული „ხუთასიანი ქორონიკონია“.
58. „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ ქართული „ხუთასიანი ქორონიკონია“.
59. აღნიშნული მოსაზრებები წარმოადგენს სიახლეს და გამოქვეყნებულია წიგნებისა და სტატიების სახით, სხვადასხვა გამომცემლობებში.